ა ხ ლ ი -
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრისა

№-50

18 თებერვალი 1941 წ.

ქ.ქ. თბილისი.

დანაწესის ჩემი მითითებისა საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის კონტროლიორების ა.ს. ე რ ე ი ძ ი ს და ნ.მ. ა ბ ა ლ ა კ ი ს მიერ ვარციხის საბჭოთა მეურნეობაში ჩატარებული სამეურნეო ფინანსიური საქმიანობის რევიზიის შედეგად დადასტურდა:

მეურნეობაში 1940 წლის ღვინო-მასალის პროდუქციის გეგმა შესრულებულია 87,6%, ნაცვლად 326.000 დ/ლიტრისა ფაქტიურად დამზადებულია 285.647 დ/ლიტრი.

მეურნეობის ხელმძღვანელობისა და უფროსი მევენახე-აგრონომი ვ.ფ. ბარბაქაძის მიერ, აგროტექნიკური ღონისძიებების დროზე ჩაუტარებლობის შედეგად, ვენახში დიდ სიმეჩხერეს აქვს ადგილი, საშუალოდ ერი ჰექტარზე ნაცვლად 4.150 ძირისა არის 3.430 ძირი ვაზი. ხოლო 61,27 ჰექტარ ვენახში ნაცვლად 254.663 ძირი ვაზისა, 210.167 ძირი ვაზია. საშემოდგომო ხვნის სიღრმე ცალკე ნაკვეთებზე ნაცვლად 15-18 სანტიმეტრისა არ აღემატება 10 სანტიმეტრს. ვენახში ირგანიული სასუქების შეტანის გეგმა შესრულებულია 85%, ნაცვლად 20 ჰექტარისა სასუქი შეტანილია 17 ჰექტარზე. გეგმით გათვალისწინებული შპალერის მიწყობა /მავთულის გაჭიმვა/ ვენახის 20 ჰექტარზე შეუსრულებელია.

გუთნები და კულტივატორები მოუვლელია, ყრია ცის ქვეშ, ნაწილი დაშლილია და მოკიდებული აქვს ჟანგი.

მეურნეობის ცენტრალურ სარდაფში არ არის დაცული საჭირო სანიტარული პირობები, შესაკეთებელი და შესათეთრებელია კედლები და ჭერი. ანტისანიტარული მდგომარეობაშია მეურნეობის ყურძნის გადამამუშავებელი

ფ.ე. №92
13/III-41წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუნქტები. ღვინის პუნქტებში - წითელი ხევში და ჯანში ღვინის სავსე კასრები მიუვლიათ. კასრებს მოკიდებული აქვს ობი, გასდის ღვინო. მიმქმის ყველა პუნქტებზე სავსე კასრების დაახლოებით 75%, მოსავსებული ღია ცის ქვეშ.

წითელი ხევის ყურძნის გადამამუშავებელი პუნქტის მეღვინე ე.ჰ. მესხის გულგრილობის შედეგად დაავადდა და დაძმარდა 4200 კილოგრამი ყაჟა, რის გამოც მეურნეობამ დაკარგა 1.200 გრადუსი სპირტი.

მეურნეობის დირექტორი კ.დ. ჭიხონელიძე უხეშად არღვევდა საკავშირო სახკომსაბჭოს 1933 წლის 11-მარტის დადგენილებას შეთავსებების მოწესრიგების შესახებ და 1939 წლის 15 აგვისტოს №-1214 დადგენილებას საბიუჯეტო და სამეურნეო ორგანიზაციებში ხელფასის ფონდის ხარჯვაზე კონტროლის დაწესების შესახებ. 1940 წელში შეთავსებები ჰქონდა მეურნეობის 22 თანამშრომელს, რომელზედაც გაცემული იყო 22.342 მან., მათში მთავარი ბუღალტერი ი.ა. ხურციძე შეთავსებიდან ყოველთვიურად იღებდა - 400 მანეთს, ზეინკლის მარნის მშენებლობის ჯეროსი ა.ბ. მოსეშვილი - 450 მანეთს, მეურნეობის მთავარი ბუღალტერის მოადგილე ე.ს. ჭეიშვილი - 100 მანეთს და სხვა.

თვით დირექტორი ჭიხონელიძე 1940 წლის განმავლობაში ყოველთვიურად იღებდა 250 მანეთს კაპებანდების და კაპრემონტის ხელმძღვანელობისათვის და 200 მანეთს სამივლინებო ხარჯების დასაფარავად. თავისივე ბრძანებით ტრესტის სანქციის გარეშე მიიღო საინვენტარიზაციო მუშაობისათვის 300 მანეთი და არანორმირებულ მუშაობისათვის 600 მანეთი. ამგვარად ჭიხონელიძეს მიღებული აქვს 1940 წლის განმავლობაში უკანონოდ 6.300 მანეთი.

მეურნეობის მთავარი ბუღალტერი ი.ა. ხურციძე 1940 წლის 1-ლ იანვრიდან 1-ლ ივლისამდე ძირითადი ხელფასის გარდა თვითნებურად იღებდა თვეში ო რ ა ს მანეთს, მანვე უკანონოდ მიიღო ინვენტარიზაციის ჩატარებაში მონაწილეობისათვის 300 მანეთი და არანორმირებული მუშაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისაფეის 500 მანეთი. სულ ხურციძემ 1940 წლის განმავლობაში მიიღო უკანონოდ 2.000 მანეთი.

ბუხალტერ ხურციძეს, შემოწმების დროს სალაროში აღმოაჩნდა, ნედლეული 682 მან. 15 კაპეიკი. მემორიალური ორდერებით № 184 - 29/11-, № 47 - 30/VII-, № 106 - 30/III- ჩამოწერილია ინკუნერ ა.ბ. მოსეშვილის ანგარიშებიდან არაკანონიერად ბინის ქირა 82 მანეთი. გაცემულია მასზედ სალაროს ორდერით №-404 9/11-40 წ. გაუფორმებლად ხარჯი-ადრიცხვის შემდგენელებზედ გადასაცემად 751 მან. 88 კაპეიკი. მასვე სალაროს ორდერით №-682 1940 წლის აპრილში უკანონოდ მიეცა ტრანსპორტირის რეალიზაციის გასამრჯელოდ საკომისიო 400 მანეთი.

მეურნეობაში დირექტორი ჭოხონელიძისა და მთავარი ბუხალტერის ხურციძის უკანონო განკარგულებების შედეგად სისტემატიურად ირღვეოდა ფინანსური დისციპლინა. 1940 წლის განმავლობაში საქვეანგარიშო ანგარიშების სახით გაცემულია 280.000 მანეთი. ეს მდგომარეობა კი ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ბოროტმოქმედებისათვის.

დირექტორის მოადგილე ხაჟალიამ განმეორებით განკარგულების შედეგად ბუხალტერიას გააცემინა 1.000 მანეთი მომმარაგებელ ვ.პ. მეძმარიაშვილზე, მაშინ როცა მასზე ირიცხებოდა 1.800 მანეთი საქვეანგარიშო ანგარიში.

მეურნეობის დირექტორი ჭოხონელიძე და მთავარი ბუხალტერი ხურციძე, არღვევდნენ საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საკავშირო სახალხოსაბჭოს 1936 წლის 19 აპრილის №-54/729 დადგენილებას, - სადირექტორო ფონდის ხარჯვის შესახებ. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვით დირექტორის ფონდის თანხები მხოლოდ უნდა მოხმარებოდა ბანაბშრომლების საცხოვრებელ სახლის მშენებლობას, მაგრამ სადირექტორო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდის 38.000 მანეთიდან, 10.800 მანეთი გაიცა, პრემიებში და დახმარებებში. დირექტორის მოადგილე ხაჟაიამ 1940 წელში მიიღო დახმარებების სახით 1.200 მანეთი, რექტიფიკატორ ი.მ. ხვიჩიამ 750 მანეთი და სხვებმა.

დირექტორის მოადგილე სამხრეთ დარგში გ.ი. ხაჟაია უყაირათოდ ეპყრობოდა მეურნეობაში ტარის მოვლა-პატრონობისა და შენახვის საქმეს, რის გამოც მეურნეობაში დაიკარგა 2.500 ცალი ღვინიანი ბოთლი. 1940 წელში მეურნეობაში ჩამოწერილია 1.483 ცალი კასრი 165.838 მან. ღირებული. კასრების ჩამოწერა ხდება უპასუხისმგებლოდ, აქტების სათანადო გაფორმების გარეშე. აქტები იწერებოდა მაშინ, როდესაც კასრები ფაქტურად დაშლილი და გასარჯული იყო. მიუხედავად კასრების გაფლვის აკრძალვისა დირექტორმა და მისმა მოადგილემ 1940 წლის განმავლობაში გაფლეს 140 ცალი კასრი.

1940 წლის განმავლობაში მეურნეობის დირექტორისა და მისი მოადგილის განკარგულებით აგურის ქარხნის გამგე ე.პ. მეძმარიაშვილის ყოველგვარი საბუთების გარეშე ჩამოეწერა 144,85 ტონა მაზუთის საფასური 14.485 მანეთი. შეძენილი მაზუთი როგორც შემოწმებამ დაადასტურა აღმოჩნდა მოპარული.

დირექტორის მოადგილეს ხაჟაიას სარდაფიდან და ღვინის პუნქტებიდან უფასოდ მიქონდა ღვინო. 1940 წელში ამგვარად მას წაღებული აქვს 10 დ/ლიტრი ღვინო.

ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო - ფინანსიური საქმიანობის რევიზიის დადგენილ ფაქტების

შ ე დ ე გ ა დ:

1. ვარციხის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს კ.დ. ქოხონელიძეს სახელმწიფო სახსრების არა მიმჭირნეობით ხარჯვისა, საფინანსო დისციპლინის დარღვევისა, უკანონო შეთავსებების პრაქტიკის შემოღებისა, ტარა

მასალის განიავებისათვის და პირადად ბანკების უკანონოდ მიღებისათვის ვუცხადებ სასტიკ საყვედურს და ვარიცხავ უკანონოდ მიღებული 3.000 მანეთის 12 თვის დაფარვის ვადით, ბანკის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანით.

2. მეურნეობის დირექტორის მოადგილე გ.ი. ხაჭაპია, - უყაირათოდ მუშაობისა, სარდაფიდან და ღვინის პუნქტებიდან ღვინის უფასოდ მიღებისა, საფინანსო დისციპლინის დარღვევისათვის - გაფრთხილებულ იქნეს ბანამდებობიდან.

3. ვარციხის საბჭოთა მეურნეობის აგრონომის ქარხნის გამგე ვ.ვ. მეძმარიაშვილი 14.465 მანეთად ღირებული 144,65 ტონა მოპარული მაჭუჭის ყიდვისათვის - გაფრთხილებულ იქნეს ბანამდებობიდან და მიეცეს სასამართლო პასუხისგებაში.

4. ვარციხის საბჭოთა მეურნეობის, - წითელი ხევის ყურძნის გადამამუშავებელი პუნქტის მეღვინე ე.ვ. ბესიკი, მასზე დაკისრებულ საქმიანობის გულგრილად მოპყრობისა, ღვინით სავსე კასრების მოუვლელობისა და 4.800 კილოგრამი ჭაჭის გაფუჭებისათვის - გაფრთხილებულ იქნეს ბანამდებობიდან.

5. ვარციხის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ბუღალტერს ი.ა. ხურციძეს საფინანსო და სალარიტო დისციპლინის უხეშ დარღვევისა, ბანკების არა კანონიერად მიღებისათვის ვუცხადებ სასტიკ საყვედურს და ვარიცხავ უკანონოდ მიღებულ 1.200 მანეთის 8 თვის დაფარვის ვადით ბანკის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანით.

6. ვარციხის საბჭოთა მეურნეობის უფროს მევენახეს ვ.ფ. ბარბაქაძეს აგრონომისძიებათა დროს ჩაუტარებლობისა, ხვნის არადამაკმაყოფილებელი ხარისხისა, ინვენტარის მოვლის საქმის ცუდად დაყენებისათვის - ვუცხადებ საყვედურს.